

K 21408
2

გ. ს. ასლანიშვილი

040360000
2013 წელი

ბეჭედი

ქ. ი. ჩაიკოვეს ებ საქართველოში



სახელმამა • მუსიკალური სერია
თბილისი
1940 წლი

მ. ს. ასლანიშვილი

78/92 [Bengali]
1940 წ. 881

78(c)(09)


881

3. ი. ჩაიკოვესკი საქართველოში

დამატება:

1. ნაცივები მოდესპ ჩაიკოვესკის თარიღიდან ვ. გ. გაეთოვესადა
2. ამონავი ი. ზ. ანდრიავიშვილის გამარჯვილი

თარგმნილი რუსულიდან დამ. ფეიზვილის მიერ.





୧/ମ୍ୟ. ରେଡାଯ୍‌ଟ୍ରାନ୍‌ସ ଲ୍. ଉସାକିନା
ଗାମନମିଶ୍ରବୀ କ. ଶିଖିନାଳୁଣି

ଗାଫାୟା ଫାରମନେବାସ 14/IХ—40 ଟ. କେଲମନ୍‌ଟ୍ୟୁରିଲ୍‌ଲା ଦାଶବ୍ରଦାତ 31/X—40 ଟ. ନାଦ୍ୟପ୍ରଦ
ଫୋନ୍‌ମାତା ରାଜଦେବନାଥ 2, ଅନାଷ୍ଟ୍ୟନବୀ ନିମା 6×11. ଟ୍ରେ 3751, ଶ୍ରେଣୀ 1573. ରିରାଙ୍ଗ 1500.

ସାହିତ୍ୟବିଭାଗ ବ୍ୟାପକିତା ବିଭାଗ କମିଟିରେ, ଶ୍ରେଣୀ 5.



პ. ი. ჩაიდოშესი სახართველოში

ასი წელი შესრულდა, რაც დაიბადა რუსული მუსიკის გენია, უდიდესი სიმფონიისტი პ. ი. ჩაიკოვსკი, რომლის შემოქმედებაზე იზრდებიან ქართველი მუსიკოსების მთელი თაობანი; ეს თარიღი განსაკუთრებით ძვირფასია საქართველოს საბჭოთა საზოგადოებრიობისათვის. დიდ რუს ხალხთან ერთად, რომელმაც კაცობრიობას მისცა გენიალური კომპოზიტორი, ჩვენ ვამაყობთ მთელ მსოფლიოში ცნობილ ამ ღრმა მოაზროვნე მუსიკოსის მრავალმხრივი მუსიკალური მოღვაწეობით. ჩაიკოვსკი ჩვენთვის განსაკუთრებით ახლობელია საქართველოში მისი მრავალჯერ ყოფნის გამო, რამაც ღრმა კვალი დამჩნია თბილისის მუსიკის ისტორიას.

ჯერ კიდევ მეცხრამეტე საუკუნის მეორე მეოთხედიდან განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა რუსთა მისწრაფება საქართველოსაკენ. ზოგიერთს იზიდავდა ნაკლებად ცნობილი მხარის ერთგვარი რომან-ტიკულობა, მეორენი კავკასიაში ისწრაფოდნენ კარიერისათვის, მესამენი იგზავნებოდნენ აქ გადასახლებაში, მაგრამ ყველას ერთად აინტერესებდა თბილისი, რომელიც XIX-ს ბოლოს გახდა ევროპული კულტურის ინტენსიურად ამოგისებელი ცენტრი. საქართველო მათ იზიდავდა არა მარტო თავისი თბილი ჰავით, ბუნების სიმდიდრით, თვალწარმტაცი და კოლორიტული ტიპებით, არამედ უმთავრესად იმ თბილი და გულითადი მიღების გამო, რომელსაც ჩვეულებრივად უმართავდნენ აქ გამოჩენილ, მოწინავე ადამიანებს. ფართო სტუმართმოყვარეობა, გულწრფელი მოპყრობა, მათი ამათუში დამსახურების სათანადო დაფასება ხელს უწყობდნენ მას, რომ საქართველო ხშირად მათი მეორე სამშობლოდ ხდებოდა. რაკი ერთხელ დაპყოფდნენ საქართველოში, თითოეული მათგანი კელავ ისწრაფოდა აქეთებენ.

საქართველო მოინახულეს რუსეთის ისეთმა დიდმა მწერლებმა, როგორიცაა გრიბოედოვი, პუშკინი, ლერმონტოვი, ლევ ტოლსტიო, მ. გორკი და ა. ნ. ოსტროვსკი. საქართველოში ყოფნამ კეთილნაყოფიერად იმოქმედა ყველა ამ მწერლის შემოქმედებაზე, ხოლო ლ. ტოლსტიომ და მ. გორკიმ სწორედ აქ დაიწყეს თავისი ლიტერატურული მოღვაწეობა.

თბილისში ხშირად ჩამოდიან აგრეთვე რუსი კომპოზიტორები და პიანისტები. მათ შორის ჩვენ ვხვდებით ისეთ დიდ სახელებს, რო-

გორიცაა ა. რუბინშტეინი, * ზილოტი, ** კ. ი. დავითოვი, გ. ი. საფონოვი***, ს. ი. ტანეევი, რომელსაც შემდეგში ზ. პ. ფალიაშვილმა უფრო დაწვრილებით გააცნო საქართველო, რამანინოვი და სხვ. XIX-ს დამლევს თბილისის მუსიკალურ ცხოვრებაში დიდი როლი შეასრულა მ. მ. იპოლიტოვ-ივანოვმა. მისი ინიციატივით თბილისი რამდენიმეჯერ ინახული რუსული მუსიკის გრინამ პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკიმაც. თბილისში პეტრე ილიას-ძე ხუთჯერ იყო. 1886 წლიდან 1890 წლამდე ის ყოველ წელს ჩამოდიოდა თბილისში.

ჩაიკოვსკის ყოველი ჩამოსელა უმთავრესად იმის სურვილით იყო გამოწვეული, რომ დაესევნებინა თავისი ძმის ანატოლ ილიას-ძის ოჯახში, რომელიც თბილისში მსახურობდა ჯერ სასამართლოს პალატის პროკურორად, ხოლო უკანასკნელ დროს ვიცეგუბერნატორად. კომპოზიტორის მიერ თბილისის გაცნობაში მნიშვნელოვანი როლი უნდა მივაწეროთ იპოლიტოვ-ივანოვსაც, რომელიც ჩაიკოვსკის ოპერების ენერგიულ პროპაგანდას ეწეოდა თბილისის თეატრში.

ჩაიკოვსკი თბილისში იყო 1886 წლის 1/IV—29/IV-მდე, **** 1887 წ. 30/V—5/VII-დე, 1888 წ. 26/III—15/IV-დე, 1889 წ. 12/IV—2/V-მდე და 1890 წ. 14/IX—22/X 10-მდე.*****

1885 წელს იპოლიტოვ-ივანოვი სწერდა კომპოზიტორს ოპერა „მაზეპას“ უდიდეს წარმატებაზე თბილისის საოპერო თეატრის სცენაზე. „მაზეპასათვის“, — სწერს ჩაიკოვსკი წერილში იპოლიტოვ-ივანოვისადმი 1885 წლის 6/XII, „მუზრაალედ და გულწრფელად გმადლობთ... ძმა და რძალი (რომლებიც ცხოვრობდნ თბილისში) მწერდნენ, რომ ოპერა ჩინებულად ჩატარდა, — ხოლო მათ ხომ ის მოსკოვსა და პეტერბურგში მოისმინეს“.

მცირე ხნის შემდეგ (23 დეკემბერს) ჩაიკოვსკი იპოლიტოვ-ივანოვს სწერს, განხრახული მაქვს 1886 წ. ზაფხულიდან ჩამოვიდე თბილისშით, რაც მან კიდევ შეასრულა.

ჩაიკოვსკი პირველად თბილის ჩამოვიდა კავკავიდან, საქ. სამხედრო გზით. ძმისადმი — მოდესტ ჩაიკოვსკისადმი (თბილისი


* ა. რუბინშტეინმა 1890 წელს მთელი ზაფხული გაატარა სააგარაკო ადგილას თბილისის ახლოს.

** ჩაიკოვსკი მის შესახებ თბილისიდან სწერს 1890 წ. 14 ოქტომბერს: „ზილოტის აქ უდიდესი წარმატება პეტონდაო“, ხოლო ქართული გასული „ივერია“ -იმავე წლის 6 ოქტომბრის ნომერში აღნიშნავს ზილოტის კონცერტს.

*** კ. ი. დავითოვმა და ვ. ი. საფონოვმა თბილისში 1887/88 წ. გამართეს კონცერტი ბეთონოვენის სონატებიდან.

**** თავის „მოგონებებში“ იპოლიტოვ-ივანოვი შეცდომით აღნიშნავს პირველ შამოსვლას 1885 წელს.

***** ყველა თარიღი აღნიშნულია ძველი სტილით.



ଶ୍ରୀମତୀ କ୍ଷାରଲୁଙ୍କ ଶ୍ରୀମତୀ ପରୀକ୍ଷାକାରୀ ବିମ୍ବନାମା ନାମରେ ଉପରେ ଦେଖିଲୁଣ୍ଟାମାରୁ । ଏହାକିମ୍ବନାମା ଏହାକିମ୍ବନାମା ଏହାକିମ୍ବନାମା ।

1/IV 1886 წ.) და ფონ-მექისალმი (1/IV 1886 წ., თბილისი) გაგზავნილ
წერილებიდან გხედავთ, თუ როგორი განსაციფრებელი შთაბეჭდი
ლება მთახდინა მასზე მთელმა ბუნებამ კავკავიდან თბილისადმე.
ორივე წერილი აღსავსეა გზის აღტროვანებული აღწერით.

„... გზა იმდენად გასაკეირია, დიდია, განსაციფრებლად ლამაზია,
რომ მთელი დღის განმავლობაში ძილზეც კი არ მიფიქრია. შთაბეჭ-
დილებანი იმდენად მრავალფეროვანია, რომ ინტერესა ერთი წუთი-
თაც არ ჰქმრება.

სანამ სადგურ დუშეთს მიუჟახლოვდებოდეთ, ახლოს უცბად ისეთი
შორეთი გამოჩნდება, იმდენად გასაოცრად საუცხოო, რომ აღტაცე-
ბისაგან გინდა იტირო“.

გარემომცველი ბუნების სიდიადემ და სილამაზემ მთლიანად აღავსო
მისი გული.

„ეგრეთწოდებულმა საქართველოს სამხედრო გზამ, რომელზედაც
ბევრი შემენია და წამიკითხავს, ყოველ ჩემს მოლოდინს გაღააჭარბა.
შესანიშნავი დარიალის ხეობა, მთაში, თოვლის სამეფოში ასვლა,
არაგვის ხეობაში დაშვება, ყველა ეს განსაციფრებლდა კარგია,
და თანაც რაოდენ მრავალმხრივია ამ გზის სილამაზე“.

1888 წ. ჩაიკოვსკი კვლავ საქართველოს სამხედრო გზით ჩამოდის
ჩემნში, დასავლეთ ევროპაში ხანგრძლივი მოგზაურობის შემდეგ. კომ-
პოზიტორს ამ მგზავრობის დროს დასავლეთ ევროპაში განსაციფრებუ-
ლი საზეიმო შეხვედრა მოუწყვეს პრალაში.

1889 წელს ჩაიკოვსკი თბილის ჩამოდის პირდაპირ ლონდონიდან,
ბათუმზე გამოვლით. ამ მგზავრობის დროს პ. ი. განციფრებული
იყო რიონის ხეობის წარმტაცი ბუნებით.

1889 წ. 20 აპრილს ნ. ფონ-მექისალმი გაგზავნილ წერილში ის
ასე აღწერს ამ სანახაობას:

„რა საუცხოო ქვეყანაა ეს კავკასია! მაგალითად, შეუძლებელია
აღწერა, თუ რაოდენ თვალწარმტაცია, მომხიბლავია, რა მდიდარია
მცენარეულობით რიონის ხეობა, რომელზედაც გადის ბათუმიდან მო-
მავალი რკინისგზა. წარმოიდგინეთ, ჩემო ძვირფასო, ფართო ხეობა,
ორი მხრიდან შემოჯარული საოცარი ფორმის მთებითა და სალი
კლდეებით, რომელზედაც იზრდება შეერი და გაზაფხულის სხვა ყვა-
ვილები. თვით ხეობაში კი აღმართულან ცოცხალი, ახალი, მწვანე
ფოთლებიანი ხეები, და, ბოლოს, უსეწყლიანი, მოხმაურე დაკლაკ-
ნილი რიონი. მერწმუნეთ, რომ მარტო ამისათვის ღირს კავკასიის
ნახვა“.

არანაკლები აღტაცებით ლაბარაკობს ჩაიკოვსკი თბილისზეც:

„სიცოცხლით აღსავსე მთავარ ქუჩებს, მშვენიერ მდიდრულ მაღა-
ზიებს მთლიანად ევროპული სახე აქვთ“, — სწერს ის თავის მძას მო-
დესტს.



„ბრწყინავს კაშეკაშა მზე, ბალებში ყველგან ყვავილებია. თბილისი წააგავს იტალიის ზოგიერთ ქალაქს, განსაკუთრებით ფლორენციას“ (წერილი ფ. მექისადმი, 1/IV 86 წ.).

თბილისის ძეველ ნაწილში, რომლის ნახვაც ჩაიკოცსკიმ არ დააყოვნა, ის განაცვიფრა და ალტაცებაში მოიყვანა ვიწრო ქუჩებმა და ხელოსნების ცხოვრების კოლორიტმა, რომლებიც „გამვლელთა თვალწინ“ მუშაობენ. ქალაქის ეს ნაწილი მას ვენეციისა და გენუის ქუჩების პარტია შესახვევებს მოაგონებს.

თავისი კონბისმოყვარეობის, მოგზაურობისა და ქალაქში ყველაფერ ლირსშესანიშნავისა და საინტერესოს დათვალიერების ჩეულების გამო, ჩაიკოცსკიმ თბილისში უნახავი არ დასტოვა გრიბოედოვის საფლავიც მამადავითის მთაზე, ინახულა ყველა ექლესია, იყო აგრეთვე სიონის ტაძარში.* საერთოდ, როგორც თვითონ აღიარებს, „თბილისი ბევრ აქ მუდმივად მცხოვრებზე გაცილებით უკეთ შეისწავლა“. მთელი მისი სიცოცხლის მანძილზე თბილისმა მასში სეუკითხესო მოგონებანი დასტოვა. ამაზედ არა ერთხელ სწერდა ის თავის მეგობრებს:

„ყველაფერი ეს („მაზეპას“ წარმატება) ჩემთვის ძლიერ სასიამოვნოა და მაყვარებს თბილისს, რომელიც ისედაც ძალიან მომწონს.“ (წერილი ფ. მექისადმი, 6/IV 1886 წ.); „ძნელია გამოთქმა ყველა იმ სულიერ მისწრაფებათა თბილისისადმი, რომელსაც განვიცდი. თვითონ მეც კი მეუცხოება, რაზეა დაფუძნებული ჩემი სრულიად განსაკუთრებული სიმპატია ამ ქალაქისადმი“. (იპოლიტოვ-იგანოვისადმი, 4/VI 1890 წ.). ამავე წლის სექტემბერს პ. ი. სწერს ე. ნაპრავნიკა:

„ძალიან ქმაყოფილი ვარ თბილისში ყოფნით. რა საუცხოო ქვეყანა! უფრო ახალგაზრდა რომ ვიყო, სამუდამოდ დავრჩებოდა აქ საცხოვრებლად“. ხოლო 1891 წ. 7 ივნისს ჩაიკოცსკი სწერს ა. ს. არენსკის: „ქალაქ თბილისი იმდენად სიმპატიურია ჩემთვის ყოველმხრივ, რომ მხოლოდ შემიძლია წაგახალისო ყოველი მსურველი იქ დასახლდეს. ვფიქრობ, რომ თქვენი კომპოზიტორული მოღვაწეობისათვის სასარგებლო იქნება დასახლდეთ ყოველგვარი მხატვრული სტიმულებით ასე მდიდარ ქვეყანაში“.

ჩაიკოცსკის თბილისში საქმიანდ კარგად იცნობდნენ მის ჩამოსელა-მდეც, როგორც კომპოზიტორს, უმთავრესად, როგორც საოპერო კომპოზიტორს. თბილისის თეატრში დიდი წარმატებით იდგმებოდა რამოდენიმე ოპერა: „მაზეპა“, „ევგენი ონეგინი“, „ჯადოსანი“ (1890 წ.) და „ორლეანელი ქალწული“ (1887-1888 წ.). 1885 წ. 23 დეკემბრის წერილში იპოლიტოვ-იგანოვისადმი ჩაიკოცსკი ურჩევს მას დადგას არა „ოპრიჩნიკები“, არამედ „ქოშები“ ან „ორლეანელი ქალწული“

* საქართველოს ძველი ტაძარი.

ჩაიკოვსკი პირადად დარწმუნდა, თუ რამდენად ფაშქვიდრდა მისი ოპერები თბილისის სცენაზე. 1886 წ. 6 აპრილს ის სწერს ნ. ფ. ფონ-მექს: „ჩემი ოპერები აქ ყველაზე მეტად იღმება, ვიდრე სხვა-გან საღმე, და განსაკუთრებით „მაზეპას“ აქეს წარმატება“. * მაგრამ ოცა უფრო ახლო გაეცნენ პ. ი. ჩაიკოვსკის, როგორც ადამიანს, გარშემოყოფნი განსაკუთრებულის სიყვარულით გაიმსჭვალნენ მისად-მი. მრავალ პირთა მოწმობით, რომლებიც შეხვედრიან ჩაიკოვსკის თბილისში, როგორიცაა: ქართული მუსიკ. ფოლკლორის ცნობილი შემკ-რები ზ. ჩხიკვაძე, ინუენერი ი. ზ. ანდრონიკაშვილი, ** მ. ვ. ორ-ბელიანი, ე. ს. შაბუროვა, მ. და ა. პ. ოპოჩინინები, პ. გ. ბებუ-თოვი ***. ახლახან გარდაცვლილი ბიანისტი ქალი კომპოზიტორი ვ. მ. ამირაჯიბის და სხვა და დაბეჭდილი მოგონებებით ირკვევა, რომ ჩაიკოვსკიმ სიყვარული მოიპოვა თავისი სათნოებით, გულე-თილობით, უბრალოებით, ჰუმანურობით და ყოველთვის გულწრფე-ლი მსჯელობით.

- მის ყველა ამ შინაგან ღირსებებზე და მიმზიდველ უბრალოებაზე ძალიან დამაჯერებლად ლაპარაკობს რამდენიმე ფაქტი, რომლებიც მოყვანილია ი. ზ. ანდრონიკაშვილის მოგონებებში.

თბილისელების მიერ გულთბილი მიღებისა და მისი შემოქმედები-სადმი განსაკუთრებული ყურადღების გამო მაღლობის გრძნობით აღვსილი კომპოზიტორი, რომელიც განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდა შემოქმედების საკითხებს, ყოველნაირად ცდილობდა ჩაბ-მულიყო ქალაქის მუსიკალურ ცხოვრებაში: ესწრებოდა საკვარტე-ტო საღამოებს ანდრონიკაშვილისას, ხშირად დადაოდა ამერაში, ეცნობოდა მაშინ თბილისში მცხოვრებ კომპოზიტორების შემოქმე-დებას.

ერთეულთი საკვარტეტო საღამოს შესახებ, რომელიც გაიმართა ან-დრონიკაშვილისას, დაწვრილებით გადმოგვცემენ შემდეგს: როდესაც გამოირკევა, რომ ვიოლონჩელის პარტიის შესრულება არ შეიძლებო--და, ჩაიკოვსკი, რომელსაც არ სურდა ანსამბლის წახდენა, როიალს მიუჯდა და ეს პარტია შეასრულა.


შენახულია ფოტოგრაფიული სურათი ამ სიმებიანი კვარტეტისა,

* იბ. ციტატა 1885 წ. 6 დეკემბ. წ რილიდან გვ. 4.

** იბ. გვ. 28 ი. ზ. ანდრონიკაშვილის „მემუარებიდან“.

*** პ. გ. ბებუთოვთან ინახება წერილი კომპოზიტორის ძმის მოდესტ ჩაიკოვსკის ლექსით, რომელშიც მოცემულია მე 6 სიმფონიის შინაარსი. წერილი და-თარიღდებულია 1893 წ. 18 ოქტომბ., ე. ი. დაწვრილია ერთი კვირით ადრე პეტრე ილიას-ძის გარდაცვალებამდე.

ლექსის შინაარსი, რასაკვირველია, სრულებით ვერ ამოსწურავს სიმფონიის ში-ნაარსს, თუმცა ინტერესს მოკლებული არაა, განსაკუთრებით მე-2 და 3 ნაწილის შინაარსი (იბ. მ. ჩაიკოვსკის წერილი პ. გ. ბებუთოვისადმი, გვ. 24).



ສຶກພົບອັນດີ ກວਆລ່າຫຼຸງເລື້ອງ ທູມເມືອງ ສຶກພົບອັນດີ: 1-ແລ້ວ ກົດລູກຄົມ ດາວີຜູ້—ຄອນສູງ; 2-ຮູ່ ກົດລູກຄົມ ດາວີຜູ້.—
 ກົດລູກຄົມ ຖົມໄລ໌; ຂົດລູກຄົມ ພົມໄລ໌; ກົດລູກຄົມ ພົມໄລ໌ — ສານລາຊີ່ງລູກຄົມ.

რომელიც უკრავდა ი. ზ. ანდრონიკაშვილის ბინაზე, საბაკა ხშირად
დადიოდა ჩაიკოვსკი (იხ. ფოტოგრაფ. სურათი, გვ. 25)

საქართველოს მოწინავე პრესა, რომლის სათავეში იდგა ლიტერა-
ტურულ-პოლიტიკური განეთი „ივერია“ და რომლის რედაქტორი იყო
დიდი პოეტი, მწერალი და პუბლიცისტი ილია ჭავჭავაძე, გამოეხმა-
ურა თბილისში ჩაიკოვსკის ყოფნას.

განეთი ათავსებს რამდენიმე შენიშვნას (ი. ზ. ანდრონიკაშვილის
მოწმობით ი. ჭავჭავაძე პირადად იცნობდა ჩაიკოვსკის).

„ამჟამად თბილისში სტუმრად იმყოფება რუსი კომპოზიტორი
პ. ი. ჩაიკოვსკი, რომელიც, როგორც ჩვენ გაღმოგვცეს, ოქტომბრის
დამლევამდე დარჩება“ („ივერია“, № 195, 1890 წ. 13/IX).

„15 ოქტომბერს საზაფხულო თეატრში დაიდგა ჩაიკოვსკის ოპერა
„ევგენი ონეგინი“; ჩაიკოვსკი მაშინ თბილისში ცხოვრობდა და პი-
რადად ხელმძღვანელობდა ამ სპექტაკლს. სწორედ ეს იყო მიზეზი,
რომ ოპერა კარგად ჩატარდა და ხანგრძლივი ტაში და „ვაშას“ შე-
ახილები გამოიწვია. მეორე მოქმედების შემდეგ მაყურებლებმა ორ-
ჯერ გამოიწვის ოპერის პატივცემული პეტრო ჩაიკოვსკი“ („ივე-
რია“, № 222, 1890 წ. 19/X); ხოლო 1890 წ. 25/X 226 ნომერი
აღნიშნავს, რომ „განთქმული კომპოზიტორი ჩაიკოვსკი პეტრერბურგს
გაემგზავრა“. ჩაიკოვსკის გარსერტყა ან რუსი ჩინოვიკობა, რომე-
ლიც სრულებით არ იყო დაინტერესებული ქართული მუსიკალური
ფოლკლორით, ან მეცენატი ვაჭრები, რომლებიც ნაციონალური კულ-
ტურის განვითარებას ზიზლით უცქირდნენ და ცდილობდნენ თბილის-
ში „ევროპეიზმი“ დაენერგათ. ყველა ისინი ატარებდნენ რეფორმის
შემდეგდროინდელი ეპოქის ალექსანდრე III პოლიტიკას, როდესაც
ნაციონალური კულტურით არა თუ დაინტერესებული იყვნენ, არა-
მედ, პირიქით, მოწინავე ადამიანთა ნაციონალური მოძრაობის ყო-
ველგვარ ყლორტებს სრესლენენ. საქართველოში შეუპოვრად ტარდე-
ბოდა გარუსების პოლიტიკა. ძირითადად ამ პოლიტიკის გამტარებ-
ლები ეხვეოდნენ გარს ჩაიკოვსკის საქართველოში.

არც ერთმა მუსიკოსმა, იპოლიტოვ-ივანოვმაც კი არ შეუქმნა მას
საშუალება მოესმინა აღნიაშვილის გუნდისათვის, რომელსაც შეექლო
ახლო გაეცნო ჩაიკოვსკისათვის ქართული ხალხური მუსიკის სიმდი-
დრე. *

ჩაიკოვსკის შემოქმედებითი სახე გამომუშავდა რუსული მუსიკის აყვა-
ვების ეპოქაში. ნაციონალური მუსიკის განვითარების პრობლემას იმ
დროს მოწინავე მუსიკოსები სხვადასხვაგვარად სწყვეტდნენ. ერთის

* სიონის ტაძარში ყოფნისას ჩაიკოვსკი ისმენდა რუსულ გალობას, რადგან
მაშინ, რუსი ეგზარქოსების ბატონობისას, სიონის ტაძარში რუსული გუნდი გა-
ლობდა.

შერივ შეიქმნა კომპოზიტორთა ჯგუფი („Могучая купка“), რომელიც მესამეუკიდისა და იდეის გაფლენით რუსული მუსიკის განვითარების ძირი და მოცეკვას მოდის სიმღერის სპეციფიკურ თავისებურებათა გამოვლინებას და თითქმის მთლიანად უცულებელ-ყოფდა დასავლეთ ევროპის მუსიკას. მეორეს შერივ შეიქმნა მედასავლეთების ჯგუფი ა. რუბინშტეინის მეთაურობით, რომელიც რუსი კომპოზიტორების პირველ გადაუდებელ ამოცანად სთვლილა დასავლეთ ევროპული კულტურის შეთვისებას.

ჩაიკოვსკი არ ემხრობა არც ერთ ამ მიმდინარეობას, რომელთაგან თითოეული ვარდება თავისებურ უკიდურესობაში. თავისი შემოქმედების ბუნებით რუსულ ნაციონალურ კულტურასთან მჭიდროდ დაკავშირებული ჩაიკოვსკი იყენებდა კუჩისტების პრინციპების დადებითს მხარეებს, მაგრამ მაინც უფრო ახლოს იდგა რუბინშტეინის ჯგუფთან. დამახასიათებელია, რომ იპოლიტოვ-ივანოვი, „მოგუჩაია კუჩის“ ერთერთი მოწინავე წევრის რიმსკი-კორსაკოვის მოწაფე, თბილისში ჩამოსკვლის მეორე წელსვე მიემგზავრება კახეთში, იწერს ქართულ ხალხურ სიმღერებს და თავის შემოქმედებაში იყენებს მათ. აქ მასში გამოჩნდა მუსიკოსი ეთნოგრაფი და „კუჩისტების“ პრინციპების მიმდევარი. ჩაიკოვსკი კი ხალხურ შემოქმედებას სხვაგვარად მიკიდებოდა.

„რუსული სიმღერა,“ — წერს ჩაიკოვსკი თავის „ფელეტონებში და შენიშვნებში“, — „თავისი ორიგინალური წყობით, თავისი მელოდიური მონახაზების თავისებურებებით..., თავისი რიტმის თვითმყობა-დობით... განათლებული და ნიჭიერი მუსიკოსისათვის წარმოადგენს უძირფასეს, თუმცა უხეშ მასალას, რომელითაც გარკვეულ პირობებში მას შეუძლია ჩინებულად ისარგებლოს“.

„... არავის არ შეუძლია დაუსჯელად შეეხოს მკრეხელური ხელით ასეთ მხატვრულ სიწმინდეს, როგორიც არის რუსული სახალხო სიმღერა, თუ ის თავს არ გრძნობს ამისათვის სავსებით მომზადებულად და ლირსულად.“

რუსული სიმღერისა და მასთან ახლო მდგომი უკრაინული სიმღერის სფეროში ჩაიკოვსკი საგვარეულო მომზადებულად და ლირსულად სთვლილა თავისთვის, რადგან თითონ ის წერს:

„ალევიზარდე მივარდნილ, ყრუ ადგილის, სულ ადრეული ბაგშვიობიდანვე განვიმსჭვალე რუსული ხალხური მუსიკის დამახასიათებელი ნიშნების აუხსნელი სილამაზით, გატაცებამდის მიყვარს რუსული ელემენტის ყოველი გამოვლინება, ერთი სიტყვით, მე რუსი ვარ ამ სიტყვის სრული გაგებით“ (წერილი ფ.-მექს, 1878 წ.).

ისმება კითხვა, შეეძლო თუ არა ჩაიკოვსკის ხალხური შემოქმედებისადმი ასეთი სერიოზული და ფრთხილი დამოკიდებულების გამო ესარგებლნა ქართული ხალხური სიმღერით, რომელიც მისთვის



ქ


სრულებით ახალი, სრულებით უცნობი კულტურა იყო? რასაკეთი გარემოების შინაგანი უნდა დაგდოთ მის გარშემომყოფ წრეს თბილისში. ოვით ჩაიკოგსკი ეძებდა შემთხვევას, რომ ახლოს გაცნობოდა ქართულ სიმღერებს. კომპოზიტორის ძმამ, ანატოლ ილიას-ძემ, ნადარობის დროს როგორლაც გაიგო, რომ მონაცირეთა ჯგუფში იყო ზ. ჩხიფაუ, რომელმაც ქარგად იცოდა ქართული მუსიკალური ფოლკლორი. ზ. ჩხიფაუ შეუთანხმდა ანატოლ ილიას-ძეს იმ დღეზე, როდესაც შეიძლებოდა პ. ი. ჩაიკოგსკის ნახვა და სიხარულით დასთანხმდა თან წაელო მის მიერ ჩაწერილი ქართული სიმღერები. დანიშნულ დღეს ზ. ჩხიფაუ ჩაიკოგსკისთან მივიღა რვეულით, რომელშიც ჩაწერილი იყო ქართული სიმღერები. ჩაიკოგსკიმ მოისმინა სიმღერები, გაკვირვებული დარჩა მათი სიმშვენერითა და სიმდიდრით და სურვილი გამოსთვევა როდისმე გამოეყენებინა ისინი.

„თუ ჩემი ძმა დიდხანს დარჩება თბილისში“, — სთვევა პ. ი. ჩაიკოგსკიმ, — „და მე კვლავ მოვახერხებ აქ ჩამოსვლას, მაშინ შევეცდები მოვინახულო საქართველოს ყოველი კუთხე, რომ დაგსტკე თქვენი სიმღერების თავისებურებებით“. (ჟურნ. „თეატრი და ცხოვრება“, №№ 2, 8 და 12, 1915 წ. ზ. ჩხიფაუ — „ჩაიკოგსკი“, მოგონებები).

ვერც ერთი და ვერც მეორე განხრახვის განხორციელება ჩაიკოგსკიმ ვერ შესძლო, რადგან ეს ჩამოსვლა საქართველოში უკანასკნელი იყო. ამის შემდეგ მან მხოლოდ სამი წელი იცოცხლა. თბილისში მეხუთე მგზავრობის ორი წლის შემდეგ ჩაიკოგსკი ჰქმნის თავს chef d'œuvre, ბალეტს „შელუნჩიქს“. ამ ბალეტში ჩაიკოგსკიმ გამოიყენა ქართული ხალხური სიმღერა „იავ-ნანა“, რომელც ძლიერ გაგრცელებულია მთელს საქართველოში. ამ სიმღერა ს ჩელოდია კომპოზიტორს მისცა იპოლიტოვ-ივანოვმა, რომელმაც ის კახეთში ჩაიწერა 1883 წ. და გამოიყენა თავის სუიტაში „ივერია“. მაგრამ საინტერესოა, თუ როგორ გადატყდა ჩაიკოგსკის შემოქმედებითს ფანტაზიაში ეს ქართული სიმღერა ქართული სიმღერისათვის დამახასიათებელი თავისი ინტონაციებით, რიტმებითა და ჰარმონიებით!

ჯერ ერთი, ჩაიკოგსკი მას უწოდებს „არაბულ ციკვას“ და მას იყენებს 2 მოქმედების ერთერთ ნომერში. ჰარმონისა და ორიგინალის შეხმატებილებისაგან კვალიც არ დარჩენილა მათ ნაცვლად მივიღეთ მინორის ქორმატული ინტონაციები. გამოვიდა პსევდო აღმოსავლური სტილის, მიმზიდველი, მონაბიძვლელი ნომერი, რაც ასე ხშირად გვხვდება XIX საუკუნის დამლევის კომპოზიტორთა შემოქმედებაში.

ამავე დროს კი იმ პერიოდში, როდესაც ჩაიკოგსკი საქართველოში იყო, ნაციონალური კულტურის აღმოჩნდებისათვის მებრძოლი მოწინავე ადამიანები თბილისში ქართული ხალხური მუსიკის დიაპროვინციაში ადამიანები თბილისში ქართული ხალხური მუსიკის დიაპროვინციაში.



ଶ. ରାଜକୁଳଙ୍କୁ ସାଧୁଲ୍ଲବୀ, ରାଜମ୍ଭେଲୀ ମିଳ କୁଣ୍ଡଳାପୁରୀରେ ୧୮୯୯ ଫେବୃରୀ

ჩაიკოვსკის საქართველოში ყოფნის დროს თბილისში „შესდგა ლა აღნიაზეილის გუნდის რამდენიმე კონცერტი რატილიას ხელმძღვანელობით.

ერთერთ კონცერტზე შესრულებულ იქნა კლასიკური ხალხური სიმღერები: სასიყვარულო „ნეტავი გოგო მე და შენ“ და ძლიერ დრამატიული სიმღერა „მუშლი მუხასა“. ამ კონცერტებზე გამოირჩეოდა მომავალი კომპოზიტორი მ. ა. ბალანჩივაძე. (გამ. „ივერია“ №66 1888 წ. 23/III, №74, 1888 წ. 1/IV, №87, 1889 წ. 27/IV).

მაგრამ, სამწუხაროდ, არც ერთმა თბილისელმა, რომლებიც მაშინ გარსერტყნენ ჩაიკოვსკის, არ გააცნო მას ეს მიმდინარეობა. იპოლიტოვ-ივანოვის მოწმობით, პ. ი. ჩაიკოვსკი თბილისში პირველად ჩამოსვლისას (1886 წ.) შეხვდა ხარლამპე ივანეს-ძე სავანელს, ერთერთ მოწინავე ადამიანს იმათვან, რომლებიც ფანატიკურად მუშაობდნენ ქართული მუსიკის პროპაგანდის დაწერგვის დარგში*.


ხ. ი. სავანელი ჩაიკოვსკის იცნობდა ჯერ კიდევ პეტერბურგის კონსერვატორიაში სტუდენტობის დროს, რომელიც მათ ერთად დაამთავრეს 1865 წელს.

ხ. ი. სავანელი, როგორც რუსეთის საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების (ИРМО) განყოფილების ერთერთი წევრი, უნდა შეხვედროდა ჩაიკოვსკის. მაგრამ, როგორც ჩანს, ჩაიკოვსკის მასთან ურთიერთობა ჰქონდა მხოლოდ ასმს დირექციის წევრთა წრეში, სადაც შედიოდა პიანისტი ა. მიზანდარიც, და არა სავანელის თანამებრძოლთა წრეში, რომლებიც ეწეოდნენ ქართული მუსიკის პროპაგანდას. და ეს გასაგებია: განმარტოებისა და მხოლოდ ნაცნობთა ინტიმური წრის მოყვარულ ჩაიკოვსკის საშინლად ეშინოდა ახალი ადამიანების შეხვედრისა.

დასახელებულ სავანელისა, მიზანდარისა, ზ. ჩხიკვაძისა, ანდრონიკაშვილისა, მ. ფ. ორბელიანისა, შაბუროვასი და ამირაჯიბის გარდა, ჩაიკოვსკის ქართველი საზოგადოების წარმომადგენელთა გაცნობის საშუალება ექნებოდა პოეტ ვახტანგ ორბელიანის დასაფლავებაზე 1890 წ. 2 ოქტომბერს. ეს იყო გრანდიოზული დასაფლავება, სადაც პოეტმა ა. წერეთელმა დიდი სიტყვა წარმოსთქვა.

ჩაიკოვსკი, შესაძლებელია, ამ დასაფლავებაზე ყოფილიყო თავის მეგობარ პ. ოპოჩინინთან ერთად, რომლის დედა ორბელიანის ქალი იყო. მიუხედავად იმისა, რომ ჩაიკოვსკის სურდა ყოველი ჩამოსვლა თბილისში გამოეყენებინა დასვენებისათვის, მოუხედავად იმისა, რომ მას თბილისში ძალაუნებურად უხდებოდა მაღალ წრეებში ტრიალი და ცხოვრება, პ. ი. მაინც პოულობდა დროს საქმიანი მიმოწერისა

* ხ. ი. სავანელი იყო იმ მუსიკალური კლასების ფუძემდებელი, რომლებიც 1874 წ. მთელი რიგი რეინგანინაციების შემდეგ გადაიქცა ახლანდელ იპილისის სახელმწიფო კონსერვატორიად.



ພູມ. ດົງດອກຍຸກ ພົມບັນຍາ (ເກົ່ານາ ບ້າວຸງສົງລົບ ກົດ) ມະຈູດກົດ ສາກຫຼານ ຖະແຫຼງນ ຖະແຫຼງນ ສາກຫຼານ ດາວີງລູ ດາວີງລູ

და მუსიკის დაწერისათვის. მას გამომცემელთან და მეცნიერთან პ. ა. იურქენსონთან და დირიჟორ ნაპრავნიკთან მიწერ-მოწერა აქვს „ჰარმონიის სახელმძღვანელოს“, რომანსების გამოცემის საკითხზე, ოპერა „პიკის ქალში“ მცირე შესწორებების შეტანაზე პეტერბურგში მისი დასწავლისას, ყოფ. საიმპერატორო თეატრს ურჩევს მომღერლებს, რომლებსაც თბილისში მოუსმინა.

ხელოსანივით ყოველდღიური მუშაობის ჩვევა და შემოქმედების ძეგლ-რბილში გამჯდარი მოთხოვნილება ჩაიკოვსკის თბილისშიც შერჩა.* ამ ქალაქში 1887 წ. მან რამდენიმე ნაწარმოები დასწერა.

ბორჯომში ყოფნისას პ. ი. ჩაიკოვსკიმ დაიწყო „მოცარტიანას“ წერა, რაც იმავე წელს დამთავრა ახერში, სადაც თბილისიდან გაემგზავრა მომაკვდავ მეგობარ კონდრატიევთან. ამავე ზაფხულს ჩაიკოვსკიმ დაიწყო „მოგონებანი ფლორენციაზე“, დამაკავშირებელ ინსტრუმენტების (2 ვიოლინი, 2 ალტი და 2 ვიოლონჩელი) სექსტეტიო თოხ ნაწილად. ამ ნაწარმოების პირველი ჩანასახი გაჩნდა ბორჯომში 1887 წლის ზაფხულს (რადგან 16 ივნისის დღიურში აღნიშნულია: „ცოტა დაწერე სექსტეტის დასაწყისი“).

ანდანტეს პირველი თემა მოხაზული იყო ფლორენციაში 1890 წ. ზამთარში. აქედან წარმოსდგა სექსტეტის სახელწოდებაც (ჩაიკოვსკის ცხოვრება, ტ. 3, გვ. 559). 1889 წელს, თბილისში თავისი უკანასკნელის ჭინა ჩამოსვლისას, ჩაიკოვსკი მუშაობდა ბალეტზე „შძინარე მზეთუნახავი“.

უკანასკნელი ჩამოსვლისას, ფონ-მეკის უკანასკნელი წერილის გამომიძე განცდებით აღსავსე, ჩაიკოვსკი პუშკინის ბალადაზე (მიცემების მიხედვით) ჰერნის დრამატიულ პროგრამულ მუსიკას „ვოევოდა“. სიმფონიური ბალადა „ვოევოდა“ დაწერილია 1890 წ. სექტემბერს, როცა ჩაიკოვსკი ცხოვრობდა თავისი ძმის ანატოლ ილიას-ძის სახლის ფლიგელში, ყოფ. გუდოვიჩის ქ. №15-ში **.


ბალადა დაწერებულია შუა სექტემბერში და დამთავრებულია შავ ესკიზებში.

1891 წ. 3 ივნისის წერილში ჩაიკოვსკი სწერს იპოლიტოვ-ივანოვს: „განზრახული მაქს ორკესტრისათვის გადავიღო ფანტაზია „ვოევოდა“, რომელიც შემოდგომაზე დაწერე თბილისში“. ბალადის პირველი შესრულების შემდეგ თავისი ქმნილებით უკანასკნელის სახლისანი - (ჩაიკოვსკის ცხოვრება, ტ. 3, გვ. 369).

ბალადის პირველი შესრულების შემდეგ თავისი ქმნილებით უკანასკნელის სახლში სპონსორი ჩარტიტურას. მაგრამ ჩაიკოვსკის გარდა-

* პოტ დიდ მთავარ პ. ქ. რომანოვისადმი წერილში 1890 წ. 1815 ჩაიკოვსკი სწერს: „დარწმუნებული ვარ, რომ მუსიკოსი, თუ ეს სუას გაიზარდოს იმ დომებში, რომლის იმედიც აქვს თავისი ნიჭის მიხედვით, უნდა აღიზარდოს როგორც ხელოსანი“ (ჩაიკოვსკის ცხოვრება, ტ. 3, გვ. 369).

** ანდა ამ სახლშე მცკრულის მემორიალური დაფა, ქუჩას კი დარქმეული აქვს ჩაიკოვსკის სახელი. 1886 წ. ჩაიკოვსკი ცხოვრობდა ყოფ. მიხეილის პროსექტზე სოლოგცვევის სახლში.



უკალების შემდეგ შენახული საორეუსტრო პარტიების მიხედვით პარტიტურა აღდგენილ იქნა. სრულიად მართებულად შენიშვნას ა. ბუდიაკოვსკი, რომ ჩაიკოვსკი ამ შემთხვევაში მეტად მეცაც მეცაც მოეკიდა თვის ნაწარმოებს.*

უკანასკნელად 1890 წ. ჩაიკოვსკი თბილის ჩამოეკიდა ოპერა „პიკის ქალის“ შექმნისა და ამ ოპერის კლავირუსულგზე და ინსტრუმენტირებაზე დაძაბული მუშაობის შემდეგ.

ამჯერად თბილისში ჩამოსცლის ინიციატივა ეკუთვნის თვით ჩაიკოვსკის.

1890 წ. ივლისის წერილში ჩაიკოვსკი სწერს თბილისში მყოფ იპოლიტოვ-ივანოვს: „შესაძლებლად ხომ არ ჩასთვლიდი, მიგეწვევ მე ერთი ან ორი კონცერტის დირიჟორად? რა მოხარული ვიქენებოდი თბილისში ჩამოსცლისა!“

ჩამოსცლა განხორციელდა და 1890 წ. 14/IX წერილი უკვე თბილისიდან არის გაგზავნილი.

ამჯერად ჩაიკოვსკის თბილისში ყოფნა დაკავშირებულია უძლიერეს სულიერ განცდებთან. როგორც ცნობილია, ამ სულიერმა დრამამ წარუშლელი კვალი დასტოვა მასში და სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდე განუკურნებელ ჭრილობად დარჩა.**

20 სექტემბერს ჩაიკოვსკი უკანასკნელ წერილს ღებულობს ნადევდა ფილარეტის ასულ ფონ-მექისაგან, თავისი მეგობრისა და მფარველისაგან, რომელიც სულიერად და მატერიალურად ეხმარებოდა ჩაიკოვსკის მრავალი წლის განმავლობაში. ეს ყოველმხრივ განვითარებული, ბუნებით ნათელი ანალიტური გონებით, ცოლის, დედისა და მეგობრის კეთილი გულით დაჯილდოებული, ფაქიზი მხატვრული ალოს მქონე ქალი, რომელიც მრავალი წლის მანძილზე არასოდეს არ შეხვედრია ჩაიკოვსკის, არათუ მატერიალურად ეხმარებოდა მას, არამედ ყოველმხრივ ამხნევებდა ნიჭისადმი მის რწმენას, ეწეოდა მისი მუსიკის პროპაგანდას რუსეთსა და დასაცლეთ ეკროპაში. და აი ეს უანგარო მეგობარი, რომელმაც რამდენიმე დღის წინათ ჩაიკოვსკის მოსწერა სიყვარულითა და მისი ნიჭის თაყვანისცემით ალსაცეს ჩვეულებრივი წერილი, ანაზღაური, ყოველგვარი განმარტების გარეშე სწყვეტს ყოველწლიური სუბსიდიის გამოგზავნას, და, რაც მთავარია, აღარ ჰგავნის წერილებს, რომლებიც დასაყრდენი იყო თავის თავში მუშმივად დაეჭვებული ჩაიკოვსკისათვის და შემოქმედებითი მუშაობის სტიმულს აძლევდა მას.

თბილისიდან კი ჩაიკოვსკი 1890 წ. 22 სექტემბერს უკანასკნელ წერილს უგზავნის ფონ-მექის მოსკოვში.

* ა. ბუდიაკოვსკი. „ჩაიკოვსკი. სიმფონიური მუსიკა“, გვ. 247

** ამაზედ დაწვრილებით იხ. „მიწერ-მოწერა ფონ-მექან“. ტ. 3, გვ. 609.

2. შ. ასლანიშვილი. პ. ი. ჩაიკოვსკი საქართველოში.



Малка, дългото дърво ми!
 Упътвам се, съсъзането на мен
 е болко и не подкреплява мен.
 Всички, когото очакват
 мене но не са седи а са встани
и са съдници не искат от мен.
 Когато си съдят, съдят
 мене, че не ми са подобри,
 = че съдят мене че съм стори-
къс на всичко не опозиши с
на всички човечески и небесни
и земни създания. Но опозиши
 мене зародът на всички същества
 и всички всеци и всички.

З. о. Националният музеен фонд № 6. ф. Фонд-Мъжки съдоми.

Аз ще рече го националният музейски таборище ги дадох (по гаевски бързо 22 април 1900 г.), да съдят мястото, където са съдиха моята съдома.

Аз съдиха моята съдома, моята съдома, съдома на всички човечески и земни създания, гаевски бързо 22 април 1900 г., да съдят мястото, където са съдиха моята съдома.

შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ ჩაიკოვსკის თბილისთან უაღმრესად მძიმე მოგონებანი აკაგშირებდა, მაგრამ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, თბილისმა მის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი როლი შეასრულა მისი როგორც მუსიკოსის აღიარების აზრით.

ჩაიკოვსკი რომ თფილისში ჩამოვიდა, ის უკვე იყო ავტორი იმ օრის-ებისა, რომლებმაც შემდეგში მას მსოფლიო კომპოზიტორის სახელი მოუხვეჭეს.

ჯერ კიდევ პირველი ჩამოსვლისას 1886 წელს მას ყველა თავისი მნიშვნელოვანი დიდი ნაწარმოები დაწერილი ჰქონდა. მას უკვე დაწერილი ჰქონდა 4 სიმფონია, 2 საფორტეპიანო კონცერტი (b—moll და G—major), „როგორს“ თემის გარიაციები, სავიოლინო კონცერტი, ბალეტი „გედის ტბა“, სიმფონიური პოემები „ფრანჩესკა და რიმინი“ და „რომეო და ჯულიეტა“, 3 სიმებიანი კვარტეტი, მრავალი რომანი, 4 ოპერა (უკანასკნელი ჩამოსვლისას კი „პიკის ქალიც“) და სხვ. თითქოსდა, ჩაიკოვსკი საყოველთაოდ აღიარებული კომპოზიტორი უნდა ყოფილიყო. მაგრამ თბილისი, როგორც ამას მოდესტ ჩაიკოვსკიც აღნიშნავს (პ. ი. ჩაიკოვსკის ცხოვრება, ტ. 3, გვ. 408), „იყო რუსეთის პირველი ქალაქი, სადაც პ. ი. ჩაიკოვსკის ზეიმითა და გულწრფელი ენთუზიაზმით შეხვდნენ.“

ჩაიკოვსკის ცხოვრებაში თბილისი იყო ერთერთი ქალაქი იმ ოთხი ქალაქიდან, სადაც მას მისი გენის შესაფერისი ზეიმი გაუმართეს სიყვარულითა და გულწრფელი პატივისცემით აღსავს პირობებში: 1886 და 1890 წლებში თბილისში, 1888 წელს პრაღაში, 1891-ნიუ-იორქში და, ბოლოს, 1893 წელს, ჩაიკოვსკის გარდაცვალების წელს, კეშბრიჯის უნივერსიტეტში ჩაიკოვსკი აირჩია honoris causa-ის * დოქტორად.

თბილისში ჩაიკოვსკისათვის გამართული ორი საზეიმო შეხვედრის საინტერესო აღწერას იძლევიან თანამედროვეები. **

ამ საპატიო შეხვედრებიდან პირველი მოწყო თბილისში 1886 წ., როდესაც ჩაიკოვსკი ჯერ კიდევ არ იყო საყოველთაოდ აღიარებული კომპოზიტორი, მეორე — 1890 წელს.

„შაბათს, 19 აპრილს, თბილისის თეატრში შესდგა საიმპერატორო მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების საგანგებო კონცერტი, რომელიც გაიმართა თბილისის ძეირცასი სტუმრის, თანამედროვე უნივერსიტეტის რუსი კომპოზიტორის პეტრე ილიას-ძე ჩაიკოვსკის პატივსაცემად. ამ კონცერტზე, როგორც უკვე გამოცხა-

* უნდა მოვიხსენიოთ სახეობით შეხვედრა, რომელიც ჩაიკოვსკის მოუწყეს 1893 წელს 1—1 ქ. ოდესაში და იმავე წლის 11—3-ხართვეში. მაგრამ იმ დროს ჩაიკოვსკი უკვე მსოფლიოში ცნობილი კომპოზიტორი იყო.

** 1) გან. „კავკაზ“, 1886 წ. № 104, 2) იარლიტოვ-ივანოვის „მოგონებანი“ 3) ი. ანდრონიკაშვილის „მემუარებიდან“.



დებული იყო, შესრულებულ იქნა მხოლოდ და მხოლოდ ზემომას მიზეზის ნაწარმოებით. რადგან კონცერტის დაწყება გამოცხადებულ-იყო საღამოს 8 საათისათვის, დანაშნულ დროზე თეატრი უკვე აიგსო ხალხით, და თითოეული მოუთმენლად ელოდა ენახა თბილისის სა-ჟყარელი ოპერების — „ევგენი ონეგინისა“ და „მაზეპას“ აკტორი.

პეტრე ილიას-ძისათვის განკუთვნილი იყო დირექტორის ლოეა, რომელიც ამ შემთხვევისათვის მორთული იყო დაფნის გირლიანდებით და დამშვენებული იყო ლირით და ძვირფასი სტუმრის ჰენზელით. თვით თეატრი მთლიანად საცე იყო და განსაკუთრებით სა-ჟყარელი და მოხდენილი შესახედაობა პეტრი. უარდის ახდისას ლოეაში გამოჩნდა პეტრე ილიას-ძე. მის გამოჩენას შეხვდნენ ერთსულოვანი და ხმამაღალი ტაშით, რაც დილხასს არ დამცხრადა.


თვით სცენა უარდის ახდისას წარმოადგენდა ლამაზ სურათს, ის საცე იყო თბილისის არტისტობის წარმომადგენლებით. შესწყდა თუ არა ხალხის მხურვალე ტაში, რომლითაც შეხვდნენ პეტრე ილიას-ძეს, მის ლოეასთან მიეიღინენ: მუსიკალური საზოგადოების განყოფილების დირექტა და თბილისის თეატრის არტისტთა, გუნდისა და ორკესტრის დეპუტაცია. მუსიკალური საზოგადოების ერთერთი დირექტორი ალიხანოვი მივიდა პეტრე ილიას-ძესთან და სიტყვა წარმოსთქვა...

„მოკლე, მაგრამ გრძნობიერმა სიტყვამ, რომელიც დამსწრეებმა ფეხზე დგომით მოისმინეს, ძლიერი შთაბეჭდილება მოახდინა ყველაზე და ტაშის გრიალი გამოიწვია. ამ დროს მუსიკალური საზოგადოების განყოფილების დირექტორმა მ. მ. იპოლიტოვიანოვმა პეტრე-ილიას-ძეს მიართვა დაფნის გვირგვინისებურ ვერცხლის ჩარჩოში ჩასმული მისივე პორტრეტი, რომელსაც მეორე მხარეს წარწერილი პეტრი იმ არტისტთა სახელები, რომლებიც მონაწილეობდნენ როგორც საზემო ოვაციაში, ისე კონცერტში და თვით კონცერტის პროგრამაში.

ორკესტრი და გუნდი კი ამ დროს ასრულებდნენ სადლეგრძელოს ოპერა „მაზეპადან“, გადაკეთებული ტექსტით, რომელიც შესაფერისი იყო ამ შემთხვევისათვის და რომელიც რამდენიმეჯერ იქნა განმეორებული დამსწრეთა მოთხოვნით.

ამ გულითადმა, განუმეორებელმა ოვაციამ ლრმად ააღელვა პეტრე ილიას-ძე, და ის გულწრფელი გრძნობით აღსაცე კმაყოფილებითა და მადლობით, უკრავდა თავს ლოეაიდან და მადლობას უხდიდა მის ახლო შდგომთ. არტისტებმა მას მიართვეს მრავალი დაფნის გვირგვინი, რომელთა ლენტებზე აღნიშნული იყო, თუ მუსიკალური ხელოვნების რომელი დარგის წარმომადგენლებიდან იყო მიძღვნილი.

შემდეგ დაიწყო კონცერტი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ვ. მ. ზარუდნაიამ, პ. ა. ლოდიიმ, გ. ო. კორგანოვმა, კ. კ. გორს-



ແກ້ວມະນີ ອານຸພະເຈົ້າ ມີມູນຄອບຄົມສັນດັບລົງ ສູງເຕີບ, ຮູນເຂົ້າມີແຜນໃຫຍ່ ພົມ ຖ. 29/4, ເມືອງຫຼວງ ຂະວົງ ດັວງທະນາ ລ້າວ ສຳຄັນມີມູນ ສະບັບສິນ, ບ. ໄຊເມືອງ ຂະວົງ, ຕະຫຼາງ ດຳເນົງ, ຕະຫຼາງ ດຳເນົງ ແກ້ວມະນີ ດັວງທະນາ, ດັວງທະນາ.



კიმ, ოპერის გუნდმა და ორკესტრმა მ. მ. იპოლიტოვანოვის ხელ
მძღვანელობით. ხალხმა მრავალჯერ გამოიწყვია შემსრულებელი და
ავტორი. კონცერტი დამთავრდა დაბაჲლოებით შუალამისას და ყო-
ველ დამსწრეს დაუტოვა რუსული სიმფონიის შექმნელის მხატვრული
მუსიკითა და მისთვის გამართული გულითადი ოფაციით გამოწვეული
სასიხარულო შთაბეჭდილება.“

მეორე საპატიოცემლო შეხვედრა პეტრე ილიას-ძეს გაუმართეს 1890
წელს 20/10. ეს საპატიოცემლო შეხვედრა აღწერილია ჩაიკოვსკის
ბიოგრაფიაში (ჩაიკოვსკის ცხოვრება, ტ. 3, გვ. 407).


„20 ოქტომბერს პეტრე ილიას-ძე დირიჟორობდა რუსეთის მუსიკ.
საზოგადოების თბილისის განყოფილების კონცერტს, სადაც შესრუ-
ლებულ იქნა: 1. სუიტა № 1; 2) ფორტეპიანოს სონატის პირველი
ნაწილი, ი. მ. მატკოვსკის შესრულებით; 3) ლენსკის არია „ევგენი ონე-
გინიდან“, გ. კოშიცის შესრულებით; 4) სერენადა სიმებიან ინსტრუ-
მენტებისათვის; 5) პაბსტის პარაფრაზები თპერა „ევგენი ონეგი-
ნიდან“; და რომანის ფორტეპიანოსათვის, მატკოვსკის შესრულე-
ბით; 6) რომანსები სიმღერებისათვის, გ. სოკოლოვის შესრულებით
და 7) უვერტიურა „1812“. მთელ სალაშოზე დაუსრულებელი ოფა-
ციები გაისმოდა ავტორ დირიჟორის საპატიოცემლოდ. მას მიუძღვ-
ნეს გვირგვინები და დირიჟორის ჯონი, ხოლო კონცერტის დამთავ-
რების შემდეგ, გაზეთების ანგარიშის მიხედვით, „პირდაპირ ყვავი-
ლებით აავსეს“.

გარდა ამისა მას მიართვეს თბილისის მუსიკალური წრის საპატიო
წევრობის დიპლომი და, სხვათა შორის, მაშინ თბილისში საგასტ-
როლოდ ჩამოსული ფრანგული თპერის პერსონალის გვირგვინი;
გასტროლიორებს მეთაურობდა პარიზის დიდი თპერის უაღრესად
სახელგანთქმული ბარიტონი ლასალი.

კონცერტის შემდეგ „თბილისის არტისტულ საზოგადოებაში“ გაი-
მართა საზეიმო ვახშამი, რომელზედაც უამრავი სიტყვა და სადღე-
გრძელო წარმოითქვა: მათგან ყველაზე მეტი წარმატება ჰქონდა
პ. ოპოჩინინის მიერ შეთხზულ ლექს. ეს ლექსი პირველად გამო-
ქვეყნდა თბილისში.

22-ს პეტრე ილიას-ძემ დასტოვა თბილისი. ნათესავების, მეგობ-
რებისა და პატივისმცემლების დიდმა ჯგუფმა ის მცხეთამდე მიაცილა.
ჩაიკოვსკი, რომელსაც მიაცილებდა მისდამი აღფრთოვანებითა და
გულთბილად განწყობილი საზოგადოება, საუკეთესო შთაბეჭდილე-
ბებით მიემზავრებოდა. ხოლო მუსიკალური თბილისის ისტორიაში
პეტრე ილიას-ძის ჩამოსვლამ მნიშვნელოვანი, დაუვიწყარი კვალი
დასტოვა.

ჩაიკოვსკი მეტად აღარ დაბრუნებულა საქართველოში, რომელიც
მას სიკვდილამდის იზიდავდა.



ବ. ରାଜ୍ୟରେ ଓ ମହିଳା ଶ୍ରୀମତୀ ଶ୍ରୀମତୀ ରାଜିଲ୍ଲେଖିତ୍ତି ଆମ୍ବଲୁହାର୍ଦ୍ଦନ୍ତର୍ମା ମୁଦ୍ରଣକାରୀ ପରିବହନ ବାବୁଙ୍କାରୀ, ୧୮୯୬ ଫ୍ରେଡେରିକ୍ ସାମ୍ବଲୁହାର୍ଦ୍ଦନ୍ତର୍ମା ବାବୁଙ୍କାରୀ.

„იტალიაშ უკანასკნელი მგზავრობის შემდეგ დაპკარგა თავისი მომახდენილობა... დარჩა მხოლოდ თბილისი, რომელიც კვლავ იზიდავდა მას“, — წერს მოდესტ ჩაიკოვსკი.

გენიალური კომპოზიტორის დაბადების ასი წლის თავზე, ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მიერ განთავისუფლებული ქართველი ხალხი თავისუფალ რუს ხალხთან ერთად ეუფლება ჩაიკოვსკის დიდ შემოქმედებას.

ნ ა ჭ ზ ვ ე ტ ი

მ. ი. ჩაიკოვსკის

წერილიდან კ. გ. ბეგუთოვისადმი

18 ოქტ. 1893 წ.


„როცა პეტერბურგს მიემგზავრებოდა, პეტრე ილიას-ძე იმდენად გართული იყო თავისი სიმფონიით, რომ არ შეეძლო პირადად შეესრულებინა თქვენი თხოვნა და თქვენთვის მოეწოდებინა ცნობები იმ იღებაზე, რომლებიც პათეტიური სიმფონიის შექმნისას კანვად გამოიყენა, და ამის შესრულება მე მთხოვა... მასში, როგორც იცით, თოხი ნაწილია:

1. Adagio allegro troppo.

სცენიდან ისმოდა სიმღერა გრძნეული,
ხან სევდის მომგრელი, ხან — სიხარულისა,
ეს იყო წამების არიად ქვეული
ოხვრა და ვაება მგზნებარე სულისა...
იგი სწუხს, ფართხალებს ტბორში დაბორგილი,
იძახის, იხრჩობა ღრმა სიმწუხარეში,
ჰსურს ძალით ასწყვიტოს ამ ქვეყნის ბორკილი,
გაფრინდეს, გაქანდეს ოცნების მხარეში!

2. Allegro con gratia.

ასეა, როდესაც გედი დაკოდილი
ცაში მონავარდე ტოლებს ჩამორჩება,
ალონებს, ატირებს ამაო ლოდინი,
ის მარტოდ მარტოა, ის ალარ მორჩება...
მას იპყრობს სიშორე ნაპირებ-კლდოვანი,
სავანე ქარის და ღრუბელთა კრებულის,—
ზღვა ვრცელი და ლურჯი, ზღვა ზურმუხტოვანი,
შფოთვარე ტალღებით გულ-აძგერებული!



ပါမံ့မာန် ကျောက်မှတ် ဖွံ့ဖြိုးလွှာလွှာမှတ် ၁-လွှာ ဒေသလွှာမှတ် — ဂ. ဦ. အင်လောင်ဝါရာရွှေ့လွှာ၊ ၂-လွှာ ဒေသလွှာမှတ် — အ. ဦ. နာဂျွဲလွှာမှတ် (ကျောက်မှတ်လောင်း စီး)၊ လှာဗို — ပုဂ္ဂနိုင်လွှာ၊ ဒေသလွှာမှတ်၊ ဒေသလွှာမှတ်—မြိုင်လွှာ၊ ဒေသလွှာမှတ်—မြန်လွှာ。



3. Allegro molto vivace.

ხმები კი, სიცოცხლის ეშნითვე გრძნეული,
მიჰქერიან უსაზღვროდ, მიჰქერიან თარეშით,
სულიც განიკურნა დარღებით სხეული,
მიილტების ქარის და ვნებათა არეში...
ჰა, უფრო აუღერდნენ მქუხარე ჩანგები,
რა დიდი ზეიმი, რა სიხარულია?
სიამედ გადიქცნენ მწუხარე ჰანგები,
და ისევ სიცოცხლე და სიყვარულია!

4. Finalle adagio lamentoso.

უცრად ჩაჰქება სიმღერა მქუხარე
ძიების წყურვილით აღზნებულ სულისა,
ზეიმის ჰანგს შესცვლის აკორდი მწუხარე,
სიმებს ალმოხდებათ ხმა აღსასრულისა...
და ისევ ქვითინის და გლოვის მარშია,
ბორგავს განწირული სიცოცხლე ბედისა,
თანდათან ეშვება სიკვდილის არშია
და წყდება სიმღერა მომაკვდავ გედისა!

თარგმანი რუსულიდან შესრულებულია
ორდენოსანი პოეტის ალიო მაშაშვილის მიერ.

6 ۱ ۷ ۴ ۳ ۹ ۶ ۰

II. გ. ზ. ანდრიავის მემკარებილან


პ. ი. ჩაიკოვები თბილისი

წარსული საუკუნის ოთხმოციან წლებში მე გმასახურობდი თბილისის საგუბერნო სამმართველოს სამშენებლო განყოფილებაში, რომელიც გუბერნატორს ემორჩილებოდა. ვიცყუბერნატორად იყო ანატოლ ილიას-ძე ჩაიკოვსკი, პეტრე ილიას-ძის ძმა.

ანატოლ ილიას-ძე "ცხოვრობდა სოლოვცევის სახლში, მიხეილის ქუჩაზე; სახლს ჰქონდა ბაღი, რომელიც მტკვრის ნაპირს აღწევდა. სწორედ მასთან ჩამოგიდა 1886 წელს პეტრე ილიას-ძე. ის ამბობდა, რომ ბაღში სეირნობისას და გაზაფხულის თბილი ჰაერით დატკბობისას მთლიანად შემიპყრო შთაგონებამ და კმაყოფილებით ვწერდი ნაწარმოებებსთ.

ანატოლი ილიას-ძე ვიოლინოზე უკრავდა (საქმაოდ სუსტად), და-მიახლოვდა მე და ხშირად დადიოდა ჩემსას. ჩვენ კვარტეტს ვუკრავდით საქმაოდ ხშირად. კვარტეტი შემდეგი პირებისაგან შესდგებოდა: 1-ლი ვიოლინო — მე, 2-რე ვიოლინო — ანატოლ ილიას-ძე, ალტი — კირილიუკი და ვიოლონჩელი — სმირნოვი.

ანატოლი ილიას-ძემ ჩემთან მოიყვანა თავისი ძმა პეტრე. ამას შემდეგ პ. ი. ხშირად მნახულობდა და ყოველთვის ესწრებოდა ყველა მუსიკალურ სალამოს, რომელთაც მე ყოველ კვირაში ვმართავდი შაბათობით. რუსეთის მუსიკალური საზოგადოების თბილისის განყოფილების დირექტორად ყოფნის დროს გადავსწყვიტე აღმენიშნა პეტრე ილიას-ძის თბილისში ჩამოსვლა. ამ მიზნით სახელმწიფო ოე-ატრში დავნიშნე კონცერტი, რომელზედაც ოფიციალურად მოვიწყვიდ პეტრე ილიას-ძე. მე შევეცადე ლიტერის ლოგა დეკორატიულად მომერთო და კონცერტის პროგრამა შევაღინე მხოლოდ და მხოლოდ მის ნაწარმოებთაგან. პროგრამის ნომრების რიცხვში, სხვათა შორის, შედიოდა სიმებიანი სერენადა სუიტა. პეტრე ილიას-ძემ განაცხადა, რომ ის პირველად ისმენდა სიმებიანი სერენადის შესრულებას. კონცერტზე დარბაზი ხალხით აიგსო და პეტრე ილიას-ძეს ლოგაში შესვლისას ფეხზე მდგომარე შან ოვაცია გაუმართა სტუმარს.



କ. କାଳେସୁଖ ତାମିଶର୍ମୀଙ୍କି ପୁଣ୍ୟ ଦିନେ ପାତ୍ରମାନଙ୍କିରଣ କରିଛନ୍ତି (ତଥାତାଶାଲ୍ଲାଶି) (ପାତ୍ରମାନଙ୍କିରଣ କରିଛନ୍ତି) ୧୮୮୬୫ ୨.




ორკესტრმა შეასრულა „დიდება“ ოპერა „მაზეპადან“. ასევთი მიღებით გულაჩუყებული პეტრე ილიას-ძე თვალცრუემლიანი მდაბლად უკრავდა თავს დამსწრეთ.

საკვირველია, როგორ იყო შერწყმული ამ ადამიანში გრიოსობასთან დაუჯერებელი, უმნიშვნელო თავმდაბლობა. მაგალითად, შეგვიძლია მოვიყვანოთ შემდეგი ფაქტი. ერთ სალამოს თეატრში გადიოდა ოპერა „ტრავიატა“ (ვერდისა). ანტრაქტის დროს ჩემს ლოგასთან ჩვეულებრივ შეიკრიბნენ პეტრე ილიას ძე და დამსწრე მუსიკოსები. მათ შორის იყო პიანისტი და კომპოზიტორი გენ. კორგანოვი, რომელიც ახალი ჩამოსული იყო ლაიპციგიდან. მაშინ გატაცებული იყვნენ ვაგნერით და საერთოდ ახალი მუსიკით. ირონიულად მოლიმარი კორგანოვი მივიდა პეტრე ილიას-ძესთან და უთხრა: „ხომ სასიამოვნოა ასეთი მუსიკის მოსმენა?“ პეტრე ილიას-ძემ მას წელზე მოხვია ხელი და უბასუხა: „ყოველ შემთხვევაში მე და თქვენ ასეთს თვერას ვერ დავწერთ,“ — და ეს მან ლამაზი სიტყვისათვის როდი სთქვა.

პეტრე ილიას-ძე სისტემატიურად ესწრებოდა კვარტეტის სალამოებს, რომელთაც ყოველ კვირაში ვმართავდი მე შაბათობით.

როგორლაც მოხდა, რომ ერთ სალამოს არ გამოცხადდა სარაჯიშვილი. პეტრე ილიას-ძე საშინლად გაჯავრდა და განაცხადა, რომ ასე არ ვარგა, მაგრამ დროის ტყვილა დაკარგვაც არ შეიძლებაო. მან წინადადება შემოიტანა მაინც შეგვესრულებინა ბეთჰოვენის კვარტეტი და ვიოლონჩელის პარტია შეასრულა როიალზე. მეორეჯერ არ გამოცხადდა ალტისტი კოლჩინი. გორსკიმ, რომ პეტრე ილიას-ძე არ გაელიზიანებინათ, წინადადება შემოიტანა შეგვესრულებინა ბეთჰოვენის სიმებიანი ტრიო, თანაც ის დაუკრავდა ალტზე. მე კატეგორიულად უარი განვაცხადე და ვთქვი, à livre ouvert-ის შესრულებას და ისიც ასეთ მსმენელთან, როგორიც ჩაიკოვსკია, ვერ გაებედავ მეთქი. პეტრე ილიას-ძემ ჩემი სიტყვები შორიდან გაიგონა, მოვიდა ჩემთან და მითხრა: „როგორ არ გრცევნიათ! უკეთესია მსმენელი გყავდეთ მუსიკის, ვინემ უვიცი; გთხოვთ დაუყოვნებლივ დაუკრათ“. ჩენ ყველა ტრიო დაუკარით, ერთი კი პეტრე ილიას-ძემ კიდეც გავამეორებინა.

თუ რა თავმდაბალი და უბრალო იყო ეს კაცი ადამიანებთან, მოწმობს თვით მის მიერ მოთხოვნილი ფაქტი: „მე ყოველწლიურად დავდივარ საზღვარგარეთ და უმთავრესად გერმანიის აგარაკებზე. ერთხელ წავედი ერთეულთ აგარაკზე, მოვეწყვე სასტუმროში, საბამოს კი ბალში გავიდი და მაგიდას მივუჯევი, რომ მევაბშემა. ამ დროს ორკესტრმა დაუკრა ერთეულთი ჩემი ნაწარმოვნი; ჩემთან მოვიდა იქ მყოფი ერთი ჩემი ნაცნობი კომპოზიტორი და მითხრა: „რა ბედნიერი ვართ, რომ ჩვენთან სტუმრად არის ჩვენი სიამაყე“, და მთხოვთ ვართ, რომ ჩვენთან სტუმრად არის ჩვენი სიამაყე“, და მთხოვთ ვართ,



ବିଜୁଳୀପୁସ୍ତକାଳୀନ ବ୍ୟାପକ ଅନୁଷ୍ଠାନିକ ପରିବହଣ ପାଇଁ ଯାଏଥିଲା ।

ვა მეორე დღეს სადილად მიესულიყავ მასთან. მე დავთანხმდი, მაგრამ სადილზე ნახევარი საათით დავიგვიანე. მასპინძლებს უკვე ესადილათ. მე მომიხდა ნაჩქარევად მეჭმა ცივი სადილი, რომ ჩქარა დაგბრუნებულიყავი სასტუმროში. მაგრამ ეს არაფერი. როგორც კი ვისადილე, მასპინძელმა მომმართა: აბა, დაუკარით რამე. მე ბოლოში მოვიხადე და განვაცხადე, რომ პიანისტი არა ვარ, მხოლოდ აკომპანირება შემიძლია-თქო. — აა, მაშ კარგი. მე ფლეიტას ფუქრავ და თვეენ შეგიძლიათ აკომპანირება. — მან გამოიტანა ნოტების გროვა და ფლეიტა, მთელი 2 საათის განმავლობაში უსტვენდა, მე კი ბრიყვივით ვაულარუნებდი ფორტეპიანოს. სასტუმროში დაბრუნებისთანავე ბარგი ჩავალავე და გავეწვზავრე“.

ზემომყვანილი ფაქტები მოწმობს, თუ რამდენად თავმდაბალი და უბრალო იყო ადამიანებთან ურთიერთობაში ეს გენიოსი კაცი.

მას დიდი სადილი გაუმართეს ბალში თამაშების წისქვილთან, მტკვრის ნაპირზე ორთაჭლაში.

თბილი, გაზაფხულის ჰაერით დამტკბარმა და პეიზაჟით მოხიბლულმა პეტრე ილიას-ძემ განაცხადა, დიდი ხანია ასეთი სიამოვნება არ განმიცდია. პეტრე ილიას-ძის გამგზავრებისათვის დანიშნულ დღეს გადასწყვიტეს გაეცილებიათ ის და საუზმე გაუმართეს თეთრ დუქანში, საქ. სამხედრო გზის მე-6 ვერსზე. საუზმის დამთავრების შემდეგ ის ეტლში ჩაჯდა და გამომშვიდობებისას განაცხადა, რომ ჩემი სახით მაღლობას უხდის მთელ თბილისის საზოგადოებას, რომელმაც ის ასე სულითა და გულით მიიღო და რომელსაც არასოდეს არ დაივიწყებს. ბოლოს მეგობრულად გამოემშვიდობა და ვლადიკავკას გაემგზავრა.

აი პეტრე ილიას-ძის თბილისში ყოფნის მოქლე ისტორია.

ჩემს მოვალეობათ ქსოვლი აღვნიშნო, რომ მაშინდელ მთავრობაშ არავითარი ყურადღება არ მიაქცია გენიალური კომპოზიტორის თბილისში ყოფნას. მისი ჩამოსვლა რომ საბჭოთა ხელისუფლების დროს მომხდარიყო, ეს ამბავი სრულიად სხვაგვარად აღინიშნებოდა.

069. 0 ზ. ანდრიანიძეშილი



ერებულის
სახელმწიფო



18 სენტემბრი
2020 ეტანი პოვზნიშვილი
З. ი. ჩერიძე
(1840 - 1893)

В ЭТОМ ДОМЕ ЖИЛ В 1890 Г.
ВЕЛИКИЙ РУССКИЙ КОМПОЗИТОР
П. И. ЧАЙКОВСКИЙ

ექიმიალური დაუვა, სახლიშვილი სალავა ცხოვრობდა პ. ი. ჩაიկოვსკი
(პ. ი. ჩაიკოვსკის ქუჩა ქ. თბილისში)

ვასი 3 816.



ბეჭედი



Ш. С. Асланишвили

П. И. Чайковский в Грузии

Госиздат Груз. ССР
Тбилиси
1940